ხაშურის მოამბე

№19 (490) 28 მაისი, ოთხშაბათი, 2025 წელი

26 მაისი - დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

საოცარი ენა გვაქვს ქართველებს. ენა, რომელიც მართლაც უფლისგან მორთმეული საჩუქარი მგონია. ტყუილად არ წარმოთქვა ჩვენმა დიდმა

წინაპარმა, რომ უფალი, მეორედ მოსვლისას, სწორედ ამ ენაზე მიმართვას საწმყსოს. ენა, რომელსაც ძალუძს ერთ სიტყვაში სრული მრავალფეროვნებით

ჩატიოს მთელი მშვენიერება მთლიანი პროცესისა თუ მოვლენისა, მართლაც გამორჩეულია თავისი არსით და სწორედ ასეთია ჩვენი დალოცვილი

ქართული. რაღა შორს წავიდეთ, აგერ, 26 მაისი ვიზეიმეთ. ამ დღეს კი დღესასწაული ჰქვია. მართლაც საოცარი სიტყვაა, ერთად რომ აერთიანებს

სიხარულს, აღმაფრენას, თავისუფლების საოცარ შეგრძნებას, სამშობლოს სიყვარულს და უფალთან კავშირსაც კი. დიახ, სასწაულია, რომელსაც

ერთი შეხედვით უბრალო დღეს, ამდენი ემოცია, ამდენი სიხარული მოაქვს. დღესასწაული, თავისი ბუნებითა და არსით მრავალნაირია და არცთუ ცოტაა. მათ შორის კი, ჩვენს სამშობლოში, 26 მაისი სრულად განსხვავებულია და სხვა დღესასწაულებს შორის, ამაღლებულიც კია. აქ სრული იგნორირებაა ყოველგვარი პირადულის. აქ სხვა მასშტაბებია და ყველაფერი

(დასასრული VI გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირებს: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს; „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს; „საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსი“-ს; „საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი“-ს; ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის, „პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ N44 დადგენილებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

გაიცა 8 მითითება და შედგენილია 22 (ოცდაორი) შემოწმების აქტი;

სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე:

ა) სანებართვო პირობების დარღვევისათვის გამოიცა 4 (ოთხი) დადგენილება;

ბ) უნებართვო მშენებლობისათვის გამოიცა 13 (ცამეტი) დადგენილება;

გ) საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გამოიცა 4 (ოთხი) დადგენილება;

დ) მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოიცა 1 (ერთი) დადგენილება

ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 49 ობიექტი;

სულ: 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, სამშენებლო სამართალდარღვევებიდან, ბიუჯეტის სასარგებლოდ, ჯარიმის სახით, გადახდილია 17 400 ლარი.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე არიან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოს ინსპექტირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები და ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურთან კოორდინაციაში აწარმოებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას და შემდგომში მათ მიღება ჩაბარებას.

2024 წელს, საქართველოს კანონი “საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, 2023 წლის 1 დეკემბრამდე უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ინდივიდუალური სახლის (დამხმარე შენობა-ნაგებობით, მისი არსებობის შემთხვევაში) კანონიერად მიჩნევის შემთხვევებზე, საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან კოორდინაციით ზედამხედველობის სამსახური რეაგირებას ახდენს კომპეტენციის ფარგლებში.

ზედამხედველობის სამსახური სამშენებლო კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს გაცემული სამშენებლო ნებართვების კონტროლს.

ასევე, პერიოდულად ხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირება ქალაქ ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა დროული პრევენცია და აღმოფხვრა, რა დროსაც გამოვლენილ სამართალდარღვევაზე საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს თანახმად, სამართალდამრღვევის მიმართ შედგენილი იქნა 2 (ორი) საჯარიმო ქვითარი-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი და საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“-თ გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სამართალდამრღვევის მიმართ შედგენილი იქნა 2 (ორი) საჯარიმო ქვითარი-ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი.

ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევებიდან, აღნიშნულ პერიოდში, ბიუჯეტის სასარგებლოდ, გადახდილია 500 (ხუთასი) ლარი.

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების ბეჭდვას, არსებული ბაზის განახლებას და მასში კორექტირების შეტანას.

2024 წლის დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 152 955 ლარი.

შოთა კუჭაიძე,

ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი

მხოლოდ პლასტიკი - ახალი ურნები სურამში

მხოლოდ პლასტიკი - სურამის ქუჩებში ამ წარწერით ახალი ნაგვის კონტეინერები გამოჩნდა, რომელიც მხოლოდ პლასტიკის ნარჩენისთვის, კონკრეტულად კი პლასტიკის ბოთლებისთვის, იქნება განკუთვნილი.

ახალი ურნები გარემოსდაცვითმა საკონსულტაციო კომპანია GEO Outlook-მა **“საქართველოში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვის მხარდაჭერის”** პროექტის ფარგლებში განათავსა, რომელიც სლოვაკეთის გარემოსდაცვითი სააგენტოსა და სლოვაკეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

პლასტიკის სეპარირებულად შეგროვება ხელს უწყობს მის გადამუშავებას და გარემოს დაბინძურების შემცირებას. თუ პლასტიკური ნარჩენი ორგანულ, სახიფათო ან სხვა ნარჩენებთან ერთად შეგროვდება, მისი რეციკლირება შეუძლებელი ხდება. სეპარირებული შეგროვება, ასევე, ამცირებს ნარჩენების რაოდენობას, რომელიც ნაგავსაყრელზე ხვდება, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელის სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივობას მნიშვნელოვნად ზრდის. გარდა ამისა, რეციკლირება ხელს უწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

სლოვაკეთი ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა რეციკლირების კუთხით. GEO Outlook-ის დამფუძნებელი, ხათუნა გოგალაძე ამბობს, რომ პროექტზე სლოვაკეთის მთავრობის წარმომადგენლებთან მუშაობა ამ მხრივაც საინტერესო იყო - **„ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ ერთგვარი მანდატი, გაავრცელონ და გააზიარონ თავიანთი საუკეთესო გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უკვე აქვს კანონმდებლობა ამ მიმართულებით, გვაქვს სტრატეგიები, არაერთი პროექტი ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით, ეს სისტემა ჯერ კიდევ არაა გამართული. ამ პროცესში, ასევე, გადამწყვეტ როლს თამაშობს ჩვენი თანამოქალაქეების ცნობიერების ამაღლება და ნარჩენებთან მიმართებაში მათი ქცევისა და დამოკიდებულების ცვლილება. ეს ყველაფერი დროსა და ძალისხმევას მოითხოვს თითოეული ადამიანის მხრიდან, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არაფერია იმ სიკეთესთან შედარებით, რასაც სეპარირებული შეგროვება მოგვიტანს“.**

ნარჩენების მართვის კოდექსი მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს უზრუნველყონ ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება. თოთოეულ მუნიციპალიტეტს, და მათ შორის ხაშურსაც, აქვს საკუთარი ნარჩენების მართვის გეგმა. პროექტი სწორედ ამ გეგმის განხორციელებას უწყობს ხელს. ამასთან, პროექტის ფარგლებში ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოხდა არსებული გეგმის შესწავლა, გაიცა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება სამომავლოდ მის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ამ ეტაპზე ხაშურის დიდი ნაწილში განთავსებულია ურნები შერეული ტიპის ნარჩენებისთვის, თუმცა არის სოფლები, სადაც ისევ ძველი, ე.წ. „ზარის მეთოდით“ , ხდება შეგროვება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითრებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი სპეციალისტი არჩილ შალიბაშვილი ამბობს, რომ აქვთ სურვილი მუნიციპალიტეტი მთლიანად გადავიდეს თანამედროვე სისტემაზე - **„მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე გვსურს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეოარირებული შეგროვებისა და გატანის სისტემა დაინერგოს. ჯერჯერობთ ყველა ტიპის ნარჩენის შეგროვება დ გატანა ერთად ხდება მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ნაგავსაყრელზე. სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა კანონმდებლობითაა სავალდებულო და მიმდინარე პროექტი კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ დავიწყოთ პროცესი, ამ შემთხვევაში, პლასტიკით. ცნობიერების ასამაღლებლად ვიმუშაოთ მოსახლეობასთან, სკოლებთან და ა.შ. გვაქვს ამბიცია, სურამის შემთხვევაში შევქმნათ კარგი პრეცენდენტი, სადაც სეპარირებული შეგროვების სისტემა დანერგილია და გამართულად ფუნქციონირებს, თუმცა მნიშვნელოვანია, როგორ აეწყობა მთლიანი ჯაჭვი“.**

რეციკლირების ჯაჭვში კი რამდენიმე მნიშველოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი, სახელმწიფოს ნება კანონმდებლობაში ამ მხრივ კარგადაა ასახული, თუმცა პრაქტიკაში არსებობს გარკვეული ბარიერები, როგორც მუნიციპალიტეტებისთვის, ასევე, გადამამუშავებელი კომპანიებისთვის. ამდენად, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან ამ ბარიერების შერბილება-აღმოფხვრაზე მუშაობა, ასევე, ადამიანური და ფინანსური რესურსების ამ მიმართულებით მიმართვა.

პლასტიკის სეპარირებული შეგროვება და მისი რეციკლირება წარმოადგენს ერთ-ერთ ეფექტურ გზას გარემოს დაბინძურების შესამცირებლად. ამასთანავე, ეს პროცესი არა მხოლოდ იცავს გარემოს, არამედ აყალიბებს უფრო მდგრად და პასუხისმგებელ საზოგადოებას.

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1 ,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18).

სიმონას ჭა – ადგ; ჭა ქვემო ბროლოსანში.
სოლომონის მიწა – ადგ., სათესი ქვემო როლოსანში.
სოფლის გვერდი - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში.
სპირიდონის ჭაობი - ადგ., სახნავი დასავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია, სპირიდონ ჩინჩალაძეს ეკუთვნოდა”.
ტარასის ახო - ადგ., ახო ქვემო ბროლოსანში.
ტბები - ადგ., ტყე ქვემო ბროლოსანში.
ქვაკიძე - ადგილი ქვემო ბროლოსანში
ქვანათხარი- ადგ., საძოვარი.
შოთას წყარო - ადგ; წყარო ზემო ბროლოსანში
ჩ ი ნ ო ს ნაკვეთი - ადგ., სათესი ზემო ბროლოსანში
წიწკილა - ადგ; წყარო ზემო ბროლოსანში
წიფლნარი - ადგ., ტყე, საძოვარი ზემო ბროლოსანში.
წმინდა გიორგი - ადგ; სალოცავი ზემო ბროლოსანში.
ხრესილი - ადგ., მთა ზემო ბროლოსანში

სოფელი კ ლ დ ი ს წ ყ ა რ ო

ახოები - ადგ., ბუჩქნარი

ბემისერები - ადგ., საძოვარი .
ბოგიძირები - ადგ., სათესი.
გაღმა ტყე - ადგ., ტყე.
გაღმა ჭაობი - ადგ., ჭაობი.
გრძელი მიწები - ადგ., სახნავი.
დამტყვრეულები - ადგ., სახნავი, საძოვარი, ტბა, კლდე.
ელიები – ადგ; სალოცავი, ნაეკლესიარი ჩრდილოეთის მხარეს.
იოკიმები - ადგ., ნასოფლარი.

კვამლეთი - ადგ., ნასოფლარი

ლამისყანები//ლამისყანები - ადგ., სახნავი.
ლომიძეებიმიწა//ლომიძის მიწა - ადგ., სათესი, სახნავი.
ნასახტრი - ადგ., საძოვარი.
ნაფუძვრები - ადგ., სახნავი.
ნაყიდები - ადგ., სახნავი.
პატარა ტყე - ადგ., ტყე, საძოვარი.
საბატე - ადგ., სახნავი.
ტარასის ახო - ადგ., ახო.
ქალასახოები - ადგ., სათესი, ახოები.
ქალას ვენახი - ადგ., ვენახი.
ცივი - ადგ., ღელე, საძოვარი.
წიფლარი - ადგ., საძოვარი.
წმინდა მარიამი – ადგ; სალოცავი. აქ დგას ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია.
წყარო ბაღები - ადგილი, ბაღებია გაშენებული.

სოფელი მ უ რ ყ ნ ი ს წ ყ ა რ ო

გრუყული - ადგ., ტყე, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,გრუყული ხის ჯიშია, დიდი გული აქვს”.
კანაოები - ადგ., საძოვარი სამხრეთ-დასავლეთის მხარეს.
კაპნარი - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.
კვინცხნარის სერი - ადგ., სერი, ტყე, ,,კვინცხა ხე არის”.
კოკოლეები - უბანი სამხრეთის მხარეს. ,,გელაშვილები ცხოვრობენ, წყალს თუ ზიდავდნენ კოკებითა. ჩვენ გავატანეთ წყალი, წყალი არ ჰქონდათ”.
ლენჭის ღელე - ღელე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია, წყალი გამოდის, ცივი წყალია”.
მურყნის წყარო - წყარო, მცირე მდინარე სამხრეთის მხარეს. ,,იმ ადგილზე მურყნები ყოფილა, ახლაც არის”.
ჭანდრები - ადგ., გზა ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,გზის მაღალი ადგილია”.
ჭიანები - ადგ., სახნავი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჭაობი, დანესტიანებული ადგილია”.
წინწკილა -ადგ., ტყე, მინდორი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,წყალი იყო, ეხლაც არის, მოდიოდა წინწკილით”.
წიფლარი//წიფლარები - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.
ხრესილოები - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.

სოფელი ტ ი ტ ვ ი ნ ი ს წ ყ ა რ ო

.

აბელის სათივე - ადგ., საძოვარი.
ალიოშას ნორმა - ადგ., საძოვარი.
არსენას მიწა - ადგ., სახნავი.
არსენას ტყე - ადგ., ბუჩქნარი, ტყე.
ბარას მიწა - ადგ., საძოვარი.
ბარას ტყე - ადგ., ბუჩქნარი, ტყე.
ბაღის თავი - ადგ., სახნავი.
ბობოკინი - ადგ., ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, ჩრდილოეთის მხარეს, სოფლების - ჩორჩანასა და მურყნისწყაროს შუაში. აქედან იღებს სათავეს ბობოკინის ღელე, რომელიც მდ. ჭერათხევს ერთვის მარცხენა მხრიდან. მდებარეობს წაღვლის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე. დასტურდება ქუცნა ამირეჯიბის სიგელში.
ბობოკინის ღელე - ადგ; იხ. ბობოკინი.
ბოგიძირი - ადგ., სათესი.
ბუჩქა ტბა - ადგ., მინდორი.
გედევანის მიწა - ადგ., სახნავი.
გიორგის მიწები - ადგ., სათესი.
დეჯნას კაკლები - ადგ., საძოვარი.
ელიების ბინა - ადგ., სალოოცავი.
ელისეს მინდორი - ადგ., სახნავი.
ვაშლის მიწა - ადგ., საძოვარი.
იაკობის მიწები - ადგ., სათესი.
იოკიმების კაკალი - ადგ., სახნავი.
იოკიმის მიწები - ადგ., სათესი.
იპოლიტეს მიწა - ადგ., სათესი.
იპოლიტეს ნასახლარი - ადგ., სახნავი.
კალოს მიწა - ადგ., სახნავი.
ნავენახარი - ადგ., საძოვარი.
ნასერალი - ადგ., სათესი.
ნაშვავები - ადგ., საძვარი.
ნერგების მიწა - ადგილი.
ნერგების ტბა - ადგ., საძოვარი.
ნიკალას ვენახი - ადგ., სახნავი.
პარმენას მიწა - ადგ., სათესი.
პოლიტეების ტბა - ადგ., საძოვარი.
საჯირითო - ადგილი.
სვიმონას ნასახლარი - ადგ., სახნავი.
სოლომონის მიწა - ადგ., სათესი.
სოლომონის სათივე - ადგ., საძოვარი.
ტიტვინისწყაროს ფერდი - ადგილი.
ყორეები - ადგ., სათესი.
წიფლარი - ადგ., ბუჩქნარი.
წყაროების მიწა - ადგილი.
ხარიტონის მიწა - ადგ., სათესი.

სოფელი ჩ ო რ ჩ ა ნ ა

ბიაბანი - ადგ., ვაკე.
გოგლას ნაჩეხი - ადგ., ტყე.
გრიმის წყალი - ადგ; წყარო.
დაბიანი - ადგ; უბანი.
დათვის წყარო - ადგ., ტყე, წყარო.
დ ა ნ გ რ ე უ ლ ე ბ ი - ა დ გ ., ს ა ძ ო ვ ა რ ი.
დედაკალია - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ შვილს მოუკლავს დედა“.
დიდი სათივეები - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.
ელიზბარისახო-ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.
ეშმაკები - ადგილი.
ე შ მ ა კ ი ს ღ ე ლ ე – ა დ გ ; ღ ე ლ ე.
ვაშლების ღელე - ადგ; ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ვ ე რ ხ ვ ე ბ ი - ა დ გ ., ტ ყ ე, ს ა ძ ო ვ ა რ ი.
ვერღვების ღელე - ადგ; ღელე.
ვირისაგორელა - ადგ., მინდორი.
თელიანი - ადგ., ტყე.
იოსების მინდორი - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
კაკლების ღელე - ადგ., ღელე, ტყე, მინდორი დასავლეთის მხარეს.
კამეჩის რქა - ადგ., ნაეკლესიარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
კაპანაძის ახო - ადგ., ტყე.
კაპნარი - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.
კაჭაჭინი - ადგ., მინდორი. ,,კაჭაჭი - ხმელი შამბის ღერო“.
კვამლეთის ღელე - ადგ., ღელე, ტყე.კოდის წყალი - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს.
კოჟები - ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს.
კრუხიშვილების ვაკე - ადგილი.
კურტანიძის ნასახლარი - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.
ღალის ტყე - ადგ., ტყე.
ლაშეები - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს.
ლელიანი - ადგილი. ,,ლელი - წვრილი ლერწამი“.
ლომისა - ადგ., ტყე დასავლეთის მხარეს.
მადნის ღელე - ადგ., ღელე, ტყე დასავლეთის მხარეს.
მამუკას სერი - ადგ., საძოვარი, ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
მარიამის წყალი - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს.
მაჭარაანთ ქარხნის ღელე - ადგ; ღელე დასავლეთის მხარეს.
მეგრელიშვილების ახო - ადგ., ტყე.
მინაგოს ნასახლარი - ადგ., ტყე.
მოსაცური - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს.
მშრალი ღელე - ადგ; ღელე.
ნაბალაგინევი - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს
ნადალას ახო - ადგ., ტყე
ნამწვები - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ნასერალი - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
ნატბეური - ადგ., მინდორი.
ნიკალას ვენახი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.
პავლეს მიწები - ადგ., საძოვარი.
პირის საგორელა - ადგ., ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.
რცხილის გომორი - ადგილი .
სამეფო მინდორი - ადგილი.
საღორის ტყე - ადგ., ტყე
საღორე ღელე - ღელე ჩღდილოეთის მხარეს.
სერეთო - ადგ., საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.
სისოს წყალი - ადგ; წყარო.
.სოსოს გზა - ადგ; გზა .
ქანდარა - ადგ; გზა.
ქერათხევი – ადგ; წყარო.
ქვაბთა - ადგ., გამოქვაბული, ტყე ჩრდილოეთის მხარეს.

ქვაბლეთი - ადგ., ღელე.
ქვაბის ღელე - ადგ; ღელე სამხრეთის მხარეს.
ქვაბთის ღელე - ადგ; ღელე.
ქვაშავა - ადგ., ჩრდილოეთის მხარეს.
ქვაშავის წყარო - ადგ; წყარო.
ქვიტკირის წყალი - ადგ; წყარო ჩრდილოეთის მხარეს, თელიანის გვერდით.
ყრალი ღელე - ადგ; წყარო.
შაშუის წყალი - ადგ; წყარო.
ჩიტას ტუნცი - ადგ., ტყე
ცაცხვების ღელე - ადგ., ღელე, ტყე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

წაბლამიწები - ადგ., ტყე.
წინწკილა - ადგ; წყარო.
წინწკილას ღელე - ადგ; ღელე.
ჭიანა ღელე - ადგ., ღელე, საძოვარი.
ჭინჭლების ღელე - ადგ; ღელე.
ჭიშკრის ღელე - ადგ; ღელე.
ხახულის ახო- ადგ., ახო.

სოფელი წ ა ღ ვ ლ ი

ალავერდი//ალავერდის მიწა - ადგ., სახნავი, სათესი.
ახო - ადგ., სახნავი აღმოსავლეთის მხარეს.
ბაირაღები - ადგ., სათესი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,ქართველებს ბრძოლა ჰქონიათ შემოსეულ მტრებთან. მცირერიცხვოვან ქრთველებს მტერმა სძლია.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სამუზეუმო კვირეული დაიხურა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ, განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის უფროსმა კონსტანტინე ფრუიძემ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, მუზეუმელებს სამუზეუმო კვირეულის წარმატებით დახურვა მიულოცეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მუზეუმის მმართველ თამაზ ლაცაბიძეს, მუნიციპალიტეტის სახელით, „მემატიანეს“ ჯილდო და ღვინის დიდი ენციკლოპედია გადასცა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა აღნიშნეს, რომ წელსაც, სამუზეუმო კვირეული მრავალფეროვანი პროგრამით იყო წარმოდგენილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული ცხოვრების თვალსაზრისით.

იმავე დღეს, მუნიციპალიტეტის მერმა, მუზეუმის მმართველთან ერთად, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, დიმიტრი ყიფიანის ბიუსტის განსათავსებლად მოსამზადებელი სამუშაოები დაათვალიერა. დიმიტრი ყიფიანის მემორიალური ქვა, რომელიც მემორიალის აღმართვას იუწყება, ჯერ კიდევ 90- იანი წლებიდანაა განთავსებული, თუმცა, სამწუხაროდ, აქამდე, ბიუსტის გახსნა ვერ ხერხდებოდა.

ამჯერად,საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს-26 მაისს, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში, დიმიტრი ყიფიანის ბიუსტი ოფიციალურად გაიხსნა.

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკთან მისასვლელი გზის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

„ამეტაპზეხორციელდებატერიტორიისმოსამზადებელიგრუნტისმოხსნის სამუშაოები, რის შემდეგაც დაიგება რკინა-ბეტონის საფარი,მოეწყობა სანიაღვრე არხები, ლითონის ზღუდარი, მიწისქვეშა კომუნიკაციები, ზემო სერის ტყე-პარკის შესასვლელთან საპარკინგე სივრცე და გარე განათება“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, პროექტი გარდამავალია, სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ჯამური ღირებულება 1514 025 ლარს შეადგენს.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება

თევდორე მღვდლის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ისაუბრა მიმდინარე პროექტზე.

„ დავიწყეთ ხაშურში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, ამ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს თევდორე მღვდლის N34-ში, N43-ში და N51-ში, აგრეთვე კოსტავას, თავდადებულის, ბორჯომის ქუჩებზე და შუშის ქარხნის დასახლებაში. ტენდერი გამოცხადებულია თამარ მეფის (N17-19), ლომოურის(N15) და გაგარინის (N86) ქუჩებისათვის. სახურავების რეაბილიტაციის შემდეგ ეტაპობრივად დავიწყებთ მრავალბინიანი სახლების ფასადების მოპირკეთებასაც.“

მერის პირველი მოადგილის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, თევდორე მღვდლის ქუჩაზე მიმდინარე პროექტის ჯამური ღირებულება 111 444 ლარს შეადგენს, რომელიც სრულად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში, ახალგაზრდა მხატვრისა და მოქანდაკის გიორგი კიკაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

ხელოვანს წარმატებები მიულოცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილემ ზვიად გოგუაძემ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

ახალგაზრდა მხატვარი და მოქანდაკე გიორგი კიკაძე სოფელ ტეზერში დაიბადა. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი. ჰქონდა პერსონალური გამოფენები თბილისსა და თელავში. გაიმარჯვა არაერთ კონკურსში.

გიორგი კიკაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა დამთვალიერებლისთვის ღიაა.

აღსანიშნავია, რომ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო სივრცე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სხვადასხვა დროს, არაერთ ნიჭიერ შემოქმედს მასპინძლობს.

- პროფესიული განათლება -

სოფიკო კიკნაძე: - მიხარია, რომ ჩვენს ქალაქში არის შესაძლებლობა, რომ ახალი, მოთხოვნადი პროფესია მიიღო...

მრავალშვილიანობა საკმაოდ დიდი პასუხისმგებლობაა, თუმცა, სოფიკო კიკნაძისთვის ეს მდგომარეობა არც საზღვრად ქცეულა და არც დაბრკოლებად: მიუხედავად ყოველდღიური დატვირთული რეჟიმისა, საკუთარ თავში იპოვა ძალა დაესახა ახალი მიზნები. დედობა იყო ის მოტივაცია, რამაც ახალი პროფესიის დაუფლებისაკენ უბიძგა. კოლეჯ „ქართლში“ გამოცხადებული პირველი მიღება კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერის პროფესიული მომზადების პროგრამაზე მორიგ გამოწვევად მიიღო და, ბევრი სირთულის მიუხედავად, დღეს უკვე სერტიფიცირებული სპეციალისტია.

- სოფიკო, რატომ გააკეთე არჩევანი ხაშურის მუნიციპალიტეტში

ახლადგახსნილ კოლეჯ „ქართლზე“? როგორი იყო შენი მოლოდინები და როგორ გამართლდა?

- კოლეჯის შესახებ ძალიან მცირე ინფორმაცია მქონდა - ბუნებრვია, რადგან პირველ მსმენელებს იღებდა. თუმცა, “კომპიუტერის ქსელური და პროგრამული მხარდაჭერის” პროგრამა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის და დავრეგისტრირდი მსმენელად. პირველივე დღეს სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი: სასწავლო აუდიტორიები, მთლიანი ინფრასტრუქტურა, მასწავლებელი - ჩემს მოლოდინებს აჭარბებდა. ვფიქრობდი, რომ მხოლოდ თეორიულ ცოდნას მივიღებდი, აღმოჩნდა, რომ თეორიულ მასალას დიდი პრაქტიკული გაგრძელება ჰქონდა.

- როგორ შეაფასებდი კოლეჯში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას?

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მოკლევადიანი იყო და 4 თვეს მოიცავდა, ძალიან საინტერესო და ინფორმატიული იყო და, ვფიქრობ, სრულად საკმარისი იყო ეს დრო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისთვის: ჩვენი პროგრამის ყველა კურსდამთავრებული მზად ვართ დამოუკიდებლად მუშაობისთვის.

- რას გვეტყვით იმ მეთოდებზე და მიდგომებზე, რომლებიც გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში?

- არ შემიძლია, არ აღვნიშნო ჩვენი მასწავლებლის - ბატონ დავით პეტუაშვილის მაღალი პროფესიონალიზმი, მისი დარგობრივი საუკეთესო გამოცდილება და პროგრამის თითოეულ მსმენელზე ორიენტირებულობა. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო მასალის სიღრმისეულად ახსნის გარდა, ყოველთვის ცდილობდა დამატებით ცოდნა მოეცა ჩვენთვის, რაც

ძალიან დიდ მოტივაციას გვაძლევდა. ძალიან კომფორტული იყო მასთან ურთიერთობა.

-როგორ მოახერხეთ სწავლის შეთავსება ოჯახურ პასუხისმგებლობებთან, რა როლი შეასრულა ამაში კოლეჯის მიდგომამ?

- მიუხედავად იმისა, რომ ოთხი შვილის დედა ვარ და ჩემი საქმეც მაქვს, რაც შეიძლება ძალიან დიდი დაბრკოლება ყოფილიყო ჩემთვის, სასწავლო პროცესი არ ყოფილა ჩემთვის რთული, რადგან მხარდაჭერა მქონდა, როგორც კოლეჯის ადმინისტრაციის, ისე მასწავლებლის მხრიდან. ზოგჯერ ჩემს პატარა შვილებთან ერთად ვესწრებოდი სასწავლო პროცესს - მე ვსწავლობდი, ისინი ხატავდნენ... მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო კოლეჯი „ქართლის“ ადმინისტრაციის მიმართ - მათი განსაკუთრებული თანადგომით, დღეს მე ჩემი საოცნებო პროფესიის სერტიფიცირებული კურსდამთავრებული ვარ.

- რას ურჩევდით სხვა ქალბატონებს, განსაკუთრებით მრავალშვილიან დედებს, ვინც პროფესიული განათლების მიღებაზე ფიქრობს?

- მინდა გითხრათ, რომ თქვენი შვილებია ის ძალა და მოტივაცია, რომელიც ყველა შიშს გადაგალახინებთ. დაისახეთ ახალი მიზანი უკეთესი მომავლისათვის, მით უმეტეს, რომ ჩვენს ქალაქში მოგვეცა შესაძლებლობა განვითარების - ახალი, თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიების მიღების. არ არსებობს წინაღობა, რომლის გარღვევაც ჩვენ, ქალებს არ შეგვიძლია!

ვულოცავთ სოფიკოს ახალი სპეციალობის მიღებას და წარმატებებს ვუსურვებთ დასაქმებაში!

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დარეგისტრირებულ პეტიციასთან დაკავშირებით შექმნილმა დროებითმა სამუშაო ჯგუფმა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით, შემაჯამებელი სხდომა გამართა

პეტიციის შესწავლის მიზნით, მოსახლეობასთან გამართული საჯარო შეხვედრების (სსიპ „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ხაშურის N3 საჯარო სკოლა“, სსიპ „დავით კაკიაშვილის სახელობის ქალაქ ხაშურის N2 საჯარო სკოლა“, დიმიტრი ყიფიანის, კარლო ტაბატაძის, შოთა რუსთაველის, ნიკო ლომოურისა და მიმდებარე ქუჩები), საკრებულოში შემოსული განცხადებების ანალიზის (სულ 1365 ხელმოწერა), აგრეთვე, მოცემულ ლოკაციაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული სამუშაოების თაობაზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიმუშავებს დასკვნას, რომელსაც საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარადგენს.

ხვალ ამაღლებაა - გილოცავთ!

ამაღლება - (მოძრავი საუფლო დღესასწაული აღდგომიდან მეორმოცე დღეს) - თავის აღდგომის შემდეგ იესო ქრისტე ხშირად ეჩვენებოდა მოწაფეებს და ღმრთის სასუფევლის შესახებ ესაუბრებოდა მათ. უკანასკნელად კი აღდგომიდან] მეორმოცე დღეს გამოეცხადა მოციქულებს, აიყვანა ისინი ელეონის ანუ ზეთისხილის მთაზე და უბრძანა, არსად წასულიყვნენ იერუსალიმიდან, რადგან მიიღებდნენ რა განსაკუთრებულ ძალას მოციქულები, როცა სულიწმინდა გადავიდოდა მათზე, ისინი უნდა გამხდარიყვნენ ქრისტეს მოწამენი მთელს იერუსალიმში ქვეყნის დასასრულამდე.

დაასრულა რა თავისი სათქმელი იესომ, მათ თვალწინ ამაღლდა და ღრუბლებს მოეფარა. მოწაფეები ცას შეჰყურებდნენ, როცა მათ უფლის ორი ანგელოზი გამოეცხადა, თეთრი, სპეტაკსამოსიანი ორი ახალგაზრდა კაცის სახით და აუწყა მათ, რომ ზეცად ამავალი უფლის მხილველნი ქრისტეს ხელმეორედ მოსვლასაც იხილავდნენ თავის დროზე, სწორედ ისე, როგორც ახლა, ცის ღრუბლებით მომავალს, ოღონდ მაშინ ეს მსვლელობა იქნება დიდებით და ბრწყინვალებით შემოსილი.

მარკოზ მახარებელი გვამცნობს, რომ „იესო ქრისტე ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა“ - ნიშნავს, რომ იესო ქრისტე თანაარსია მამისა, არაფრით არ არის მასზე ნაკლები. ეს ჩანს მეფეთა თანამოსაყდრეთა კურთხევის ცერემონიალშიც: როცა მეფე თავის ძეს განამზადებდა თანამოსაყდრედ, მეფის ბრძანებით მეფის ტახტის ზუსტ ასლს აკეთებდნენ, დადგამდნენ მეფის მარჯვნივ და მასზე აკურთხებდნენ მეფის ძეს, როგორც მეფის თანასწორს. მეფის გვერდით ჯდომა გამოხატულებაა მეფური დიდებული ღირსებისა.

ქრისტე ამაღლდა ადამიანური ბუნებითა და ადამიანური სხეულით, თორემ წმინდა მამების განმარტებით, იგი ღმრთაებრივი ბუნებით ყველგანმყოფია, ქრისტემ თავისი ამაღლებით სრულად განადიდა, აამაღლა და სრულიად განაღმრთო კაცობრივი ბუნება, რითაც ადამიანი ყოველთა ანგელოზთა მაღლა დააყენა. ამიტომაა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული უფლის ამაღლება.

26 მაისი - დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა

(დასასრული)

სამშობლოსთანაა კავშირში. შენს წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთანაც. ომით, ბრძოლით, თავდადებით და დიდი მამულიშვილების რუდუნებითაა ეს დღე მოტანილი ჩვენამდე. მოტანილი თავისი მთელი მშვენიერებითა და სიდიადით. ამიტომაცაა ამდენ სახეგაბრწყინებულ ადამიანს, სხვა დღეს რომ ვერ იხილავთ. სიხარულია ყველას გულში, დაწყებული სულ პატარა, ლამის თოთო ბავშვით, მამიკოების კისერზე რომ დაუდევთ ტახტრევანი და თავისნაირ პაწაწუნა ხუთჯვრიან დროშებს აფრიალებენ მთელი მონდომებით

და დამთავრებული მხცოვანი ჭაღაროსნებით. დიახ, მთელი საქართველო მოიცვა ამ ზეიმმა. ბუნებრივია, გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტი იყო და დილის ათი საათიდან, ხაშურის ცენტრი ულამაზესად მორთული დახვდა ყველა მოზეიმეს. ცენტრალური მოედანი ადგილობრივმა მეწარმეებმა „დაიპყრეს“ და თავისი ულამაზესი ქმნილებები გამოფინეს - ფერწერული ტილოები, ნაქარგობები, სხვადასხვაგვარი ტკბილეული, ყვავილების მთელი ორანჟერეა და სხვა ათასი რამ, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი და მყიდველი ჰყავდა. უზარმაზარ სცენაზე კი ადგილობრივი თვითშემოქმედებითი ანსამბლები საკუთარ ხელოვნებას უჩვენებდნენ დამსწრეთ.

ზეიმის დაწყებამდე, ამ დღესთან დაკავშირებით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ზვიად გოგუაძემ, მუნიციპალიტეტის მერიის, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების და თავდაცვის სამინისტროს სსიპ სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონული ცენტრის ხაშურის მუნიციპალური განყოფილების წარმომადგენლებთან ერთად გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველო-სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა საძმო სასაფლაო.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ ის ისტორიული მოვლენები გაიხსენა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლას მუდმივად თან ახლდა სხვადასხვა ეპოქაში.

ტრადიციულად, გვირგვინით შეიმკო სოფელ აძვისში დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი, რომელზე გამოსახული ცნობილი წარწერა: „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ, შენი ნატვრა აღსრულდა. საქართველო განთავისუფლდა“ ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ზეიმის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა ქალაქის მთავარ მოედანთან მდებარე სკვერში დიდი მამულიშვილის, ქართული სამოციქულო ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული დიმიტრი ყიფიანის ძეგლის გახსნა, რომელიც ულამაზესად ჩაეწერა სკვერის მთლიან ლანდშაფტში. დიზაინი ისეა გადაწყვეტილი, რომ სკვერის მთავარი ფიგურა სწორედ ეს მონუმენტი გახდა. რაც მთავარია, ძეგლი შესანიშნავად შესრულებული ნამუშევარია და სრულყოფილად ასახავს ამ საოცარი პიროვნების მთელ სიდიადეს.

ზეიმი თანდათან იკრებს ძალას. გალა-კონცერტამდე სპორტსმენები და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ, რომლებმაც კიდევ ერთხელ ასახელეს ჩვენი ქალაქი!

ჯილდოები გადაეცათ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელებს: ვახტანგ კვინიკაძეს, გიორგი კვინიკაძეს, ბეგლარ ხარშილაძეს, ბუხუტი ბუხრიკიძეს, მალხაზ ნოზაძეს. მოქმედ სპორტსმენებს: გიორგი გელაშვილს (ბათუმის საერთასორისო ტურნირის გამარჯვებული ქართულ ჭიდაობაში), მიხეილ გაფრინდაშვილს (სამბო, ევროპის მეორე პრიზიორი ახალგაზრდებს შორის), დიმიტრი მულაძეს (ძიუდო, ევროპის ვიცეჩემპიონი ვეტერანებს შორის), ია ჯელაძეს (სამბო, საქართველოს ვიცეჩემპიონი კადეტებს შორის), მიშიკო ნოზაძეს (სამბო, საქართველოს ჩემპიონი, ევროპის მე-3 პრიზიორი), ხვიჩა გაფრინდაშვილს (ძიუდო, ევროპის თასი, მე-3 ადგილი), აბესალომ მეხრიშვილს (ძიუდო, ევროპის თასი, მე-2 ადგილი ვეტერანებს შორის), ზაურ დვალაშვილს (ძიუდო, საქართველოს ჩემპიონი, თბილისის გრანდ-სლემის მე-3 პრიზიორი, ყაზახეთის გრანდსლემის მე-3 პრიზიორი), ლუკა მაისურაძეს (ძიუდო, ევროპის ჩემპიონი გუნდურ ასპარეზობაში), საბა ლურსმანაშვილს, საბა ჩილაშვილს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, საქართველოს ჩემპიონი და ევროპის მე-3 პრიზიორი ახალგაზრდებს შორის), ელგუჯა ლომიძეს (თავისუფალი ჭიდაობა, საქართველოს ჩემპიონი 17 წლამდელთა შორის, ანტალიის საერთაშორისო ტურნირის მე-2 პრიზიორი), გიგა ოდიკაძეს (ძალოსნობა, მსოფლიოს მე-3 პრიზიორი ახალგაზრდებს შორის).

თენგიზ ჩიტიაშვილი, მუნიციპალიტეტის მერი: ვულოცავ ყველას ამ საოცარ დღეს. ბედნიერი ვარ, რომ ამდენ გაღიმებულ სახეს ვხედავ. ხაშური მუდამ იყო ქვეყნის განვითარების ავანგარდში და მიხარია, რომ დღესაც ასეა. კიდევ ერთხელვულოცავ ყველას...

ნინო ლიპარტელიანი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ეს დღე მართლაც ჩვენია, თითოეული ქართველის, საქართველოს თითოეული მოქალაქის. მართლაც საოცარი დღესასწაულია. ვულოცავ მთელ ხასშურს და სრულიად საქართველოს...

სალომე ხარშილაძე, ხაშურის მკვიდრი: ზეიმზე შვილებთან ერთად ვარ მოსული, მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლებმაც ძალ-ღონე არ დაიშურეს, რომ ასე ლამაზი ყოფილიყო ეს დღე...

ზეიმი თანდათან უახლოვდება კულმინაციას. იწყება გალა-კონცერტი, სადაც ცნობილმა მომღერალმა ზუკა ხუციშვილმა და მისმა ბენდმა მშვენიერი საღამო აჩუქეს ხაშურლებს.

ქალაქის ღამის ცა კი ულამაზესმა ფოიერვერკმა გაანათა. გაანათა იმის ნიშნად, რომ ზეიმი შედგა. შედგა დღესასწაული, რომელიც მუდამ ჩვენთანაა და ბრდღვიალა მზესავით ათბობს თითოეული ქართველის გულს.

გ. გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.